,,ბიზნესში დასაქმებულ ბუღალტრებთან ურთიერთობის კომიტეტი“-ს

2025-2027 წლების სამოქმედო გეგმა

,,ბიზნესში დასაქმებულ ბუღალტრებთან უერთიერთობის კომიტეტი“ შეიქმნა 2023 წელს, ჩამოყალიბდა კომიტეტის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების დროს წარმოქმნილი პრობლემატური საკითხების გათვალისწინებით, 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმაში მოვახდინეთ ცვლილებები, შევიმუშავეთ ძირითადი ასპექტები თუმცა საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმებში ცვლილებების განხორციელება.
,,ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრებისათვის“ შემუშავებული სამოქმედო გეგმაში გაწერილია ყველა ის ღონისძიება რაც ხელს შეუწყობს მათ გადაწყვიტონ პრაქტიკაში არსებული გამოწვევები, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს პროფესიის განვითარებას,

კომიტეტის სხდომები ჩატარდება პერიოდულად, მაგრამ მინიმუმ კვატრალში ერთხელ, ზემოაღნიშნული სხდომებზე გაფორმდება სხდომის ოქმები და დაარქივდება.

N	*დაწყების თარიღი*	*ღონისძიება*	*დასრულების თარიღი*	*პასუხისმგებლობა*
1	მაისი 2025	• სამუშაო შეხვედრა კომიტეტის წევრებთან და 2025-2027 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა/შეჯერებაბა; • სამოქმედო გეგმის წარდგენა ბაფის გამგეობაზე დასამტკიცებლად	მაისი 2025	კომიტეტის თავმჯდომარე
2	სექტემბერი 2025	ბიზნესში დასაქმებულ ბუღალტრებთან შეხვედრა - მათი მოსაზრებების მოსმენა და შეჯერება რამდენად ემთხვევა ჩვენი და მათი ხედვა არსებულ საჭიროებებზე/პრობლემებზე (ონლაინ ფორმატი).	ოქტომბერი 2025	კომიტეტის თავმჯდომარე, წევრები
3	ნოემბერი 2025	კითხვარის შედგენა, რომელიც მოგვცემს საშუალებას დავადგინოთ ბუღალტრებისათვის 2025 წელს წარმოშობილი საკითხების შესაბამისად მათთვის საჭირო ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფა	დეკემბერი, 2025	კომიტეტის თავმჯდომარე, წევრები
4	თებერვალი, 2026	გამოკითხვის შედეგების ანალიზის შემდგომ გამოვლენილი გამოწვევების შესაბამისად სატრენინგო თემების შერჩევა შესაბამის კომიტეტებთან ერთად.	მარტი 2026	კომიტეტის თავმჯდომარე, წევრები
5	სექტემბერი, 2026	ვებინარი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში განხორციელებული ცვლილებების/ სიახლეების გაცნობა/გაზიარება ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრებისათვის.	სექტემებერი, 2026	კომიტეტის თავმჯდომარე, წევრები
6	დეკემბერი, 2026	სამუშაო შეხვედრა კომიტეტის წევრებთან რათა მოვახდინოთ გეგმის შემუშავება, თუ როგორ მოვახდინოთ მეწარმეებში	დეკემბერი, 2026	კომიტეტის თავმჯდომარე

		ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიის შესახებ ცნობადობის ამაღლება და მათი კომპანიებისათვის საჭირო საკითხების პროპაგანდა		
7	იანვარი, 2027	2026 წლის დეკემბრის თვეში სამუშაო შეხვედრის დროს შემუშავებული გეგმის შესრულება	იანვარი, 2027	კომიტეტის თავმჯდომარე, წევრები
8	თებერვალი 2027	გამოკითხვის შედეგების მიხედვით შესაბამისად ვებინარების დაგეგმვა და მათი ჩატარების ორგანიზება	თებერვალი, 2027	კომიტეტის თავმჯდომარე, წევრები
9	აპრილი, 2027	სამუშაო შეხვედრა ბუღალტრებთან პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების რეესტრში აღრიცხვის და განგრძობითი სწავლების პრიორიტეტული საკითხების განსახილველას, არსებული საკითხების განხილვა ბაფის გამგეობასთან.	აპრილი, 2027	კომიტეტის თავმჯდომარე, წევრები
10	სექტემბერი, 2027	2026 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით შესაბამისად ვებინარების დაგეგმვა და მათი ჩატარების ორგანიზება	სექტემბერი, 2027	კომიტეტის თავმჯდომარე, წევრები

სამოქმედო გეგმის შესაბამისად დაგეგმილ ღონისძიებების ჩატარების გარდა, ბიზნესში დასაქმებულ ბუღალტერთა კომიტეტი მუდმივად ითანამშრომლებს ბაფის ყველა კომიტეტთან საჭიროებიდან გამომდინარე.

სამოქმედო გეგმა ექვემდებარება განახლებას მუშაობის პროცესში აღმოჩენილი ახალი გარემოებების შესაბამისად.

კომიტეტის თავმჯდომარე:
ნონა რევაზიშვილი